

მომსახურების ხელშეკრულების ძირითადი პირობები

1. ხელშეკრულების მოქმედების ფარგლები

- 1.1. მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება შედგება შემდეგი დოკუმენტებისგან: (ა) მომსახურების ხელშეკრულება; (ბ) მომსახურების ხელშეკრულების ძირითადი პირობები, და (გ) ნებისმიერი დამატებითი დანართი, რომელიც გაფორმდა ან მომავალში გაფორმდება მხარეთა შორის ხელშეკრულების მოქმედების ფარგლებში. ამასთან:
 - 1.1.1. მომსახურების ხელშეკრულების, აგრეთვე ძირითადი პირობების ტექსტსა და დანართ(ებ)ის პირობებს შორის წინააღმდეგობის არსებობისას უპირატესობა მიენიჭება დანართ(ებ)ის პირობებს;
 - 1.1.2. მომსახურების ხელშეკრულების პირობებსა და ძირითადი პირობების ტექსტს შორის წინააღმდეგობის არსებობისას უპირატესობა მიენიჭება მომსახურების ხელშეკრულების პირობებს;
 - 1.1.3. დანართ(ებ)ის პირობებს შორის წინააღმდეგობის არსებობისას უპირატესობა მიენიჭება იმ დანართის პირობებს, რომელიც ადგენს უფრო სპეციალურ პირობებს და განკუთვნილია კონკრეტული სამართალთერეითობის მოსაწესრიგებლად.

2. ტერმინთა განმარტებები

- 2.1. თუ წინამდებარე ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული ან/და მისი კონტექსტიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, ქვემოთ მოცემულ ტერმინებს ენიჭებათ შემდეგი მნიშვნელობა:
 - 2.1.1. ანგარიში - ზანკში არსებული შემსრულებლის საბანკო ანგარიშ(ებ)ი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
 - 2.1.2. ანგარიშსწორება - სხვადასხვა საშუალებებით (მათ შორის საბანკო დაწესებულებების მეშვეობით) გადამხდელი პირის მიერ ფულადი სახსრების მიმღები პირისათვის გადაცემის შესრულების პროცესი;
 - 2.1.3. არამატერიალური ქონებრივი სიკეთე - ის მოთხოვნები და უფლებები, რომლებიც შეიძლება გადაეცეს სხვა პირებს ან გამოიწვიოს საიმისოდ, რომ მათ მფლობელს შეეძლოს მატერიალური სარგებელი ან/და მიენიჭოს სხვა პირების მიმართ მოთხოვნის უფლება;
 - 2.1.4. ზანკი - მომსახურების ხელშეკრულების 1.1. პუნქტში მითითებული პირი, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების მხარეს;
 - 2.1.5. განცხადებები და გარანტიები - ძირითადი პირობების მე-3 მუხლში მოცემული შემსრულებლის განცხადებები და გარანტიები;
 - 2.1.6. დანართი - მხარეთა მიერ ხელმოწერილი ნებისმიერი დამატებითი დანართ(ებ)ი, რომელიც აზუსტებს, ცვლის ან/და წყვეტს ხელშეკრულებას ან/და მის პირობებს და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;
 - 2.1.7. ინტელექტუალური პროდუქტი - მომრავი ნივთი ან/და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად ზანკის მოთხოვნით შექმნილი ნებისმიერი პროდუქტი/ნაწარმოები, რომლებიც წარმოადგენს ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს, განურჩევლად დანიშნულების, გამოხატვის ფორმის და საშუალებისა), რომელთა მიმართაც არსებობს კანონმდებლობის საფუძველზე ინტელექტუალური სამართლის ნორმებით მოწესრიგებული ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები (მათ შორის ინტელექტუალური პროდუქტთან დაკავშირებული საავტორო და მომიჯნავე უფლებები, პატენტის, გამოგონების, სასარგებლო მოდელის, დიზაინის, სასაქონლო ნიშნის ან/და ინტერნეტ დომენის სარგებლობასთან/გამოყენებასთან და განკარგვაასთან დაკავშირებული უფლებები);
 - 2.1.8. კანონმდებლობა - საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, აგრეთვე საქართველოს ნორმატიულ აქტთა სისტემაში მოქცეული საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების და შეთანხმებების ერთობლიობა;
 - 2.1.9. კონფიდენციალური ინფორმაცია - თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ხელშეკრულების ხელმოწერის ან/და მისი შესრულების შედეგად ერთ-ერთი მხარის მიერ მეორე მხარის შესახებ მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან/და გაგზავნილი ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტაცია (მათ შორის ინფორმაცია/დოკუმენტაცია მხარის პერსონალური, წილობრივი, ფინანსური მონაცემების, მხარის მფლობელი/მმართველი/ურთიერთდაკავშირებული პირ(ებ)ის, მესამე პირ(ებ)თან არსებული გარიგებ(ებ)ის, მფლობელობაში არსებული მომრავი ან/და უმრავი ობიექტ(ებ)ის, ბიზნეს პროცესის/პროცედურების, მარკეტინგული სტრატეგიის, პროექტ(ებ)ის ან/და სხვა სახის მონაცემების შესახებ) ან/და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია/დოკუმენტაცია.
 - 2.1.10. მესამე პირ(ები) - ნებისმიერი პირი, რომელიც არ წარმოადგენს ხელშეკრულების მხარეს;
 - 2.1.11. მომსახურების ხელშეკრულება - მხარეთა შორის დადებული წინამდებარე გარიგება, რომელიც წინამდებარე პირობებთან და სხვა დანართებთან ერთად ქმნის ხელშეკრულებას.
 - 2.1.12. მონაცემთა დამუშავება - განიმარტება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და გულისხმობს პერსონალურ მონაცემთა მიმართ შესრულებულ ნებისმიერ მოქმედებას, მათ შორის, მონაცემების შეგროვებას, მოპოვებას, მათზე წვდომას, ფორმირებას, ვიდეომონიტორინგს ან/და ავადიომონიტორინგს, ორგანიზებას, დაჯგუფებას, ურთიერთდაკავშირებას,

- შენახვას, შეცვლას, აღდგენას, გამოთხოვას, გამოყენებას, დაბლოკვას, წაშლას ან განადგურებას, აგრეთვე მონაცემთა გამკლავებას მათი გადაცემით, გასაჯაროებით, გაერეკლებით ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომით;
- 2.1.13. ძირითადი პირობები - წინამდებარე დოკუმენტით დადგენილი მომსახურების ხელშეკრულების ძირითადი პირობები, რომელიც წარმოადგენს ერთიანი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და განთავსებულია ზანკის ვებ-გვერდზე - www.libertybank.ge;
- 2.1.14. მომრავი ნივთი - ნებისმიერი ნივთ(ები), რომელიც კანონმდებლობის მიხედვით არ არის უმრავი ნივთ(ებ)ი;
- 2.1.15. წყარომომხმარებელი - პირი, რომელიც აწარმოებს საბოლოო პროდუქტს (მათ შორის პროდუქტის ძირითად ელემენტს ან/და მის ნაწილს), აგრეთვე პირი რომელსაც პროდუქტი გამოაქვს გასაყიდად, გასაქირავებლად ან სხვა ფორმით სარეალიზაციოდ;
- 2.1.16. მხარე/მხარეები - ზანკი ან/და შემსრულებელი კონტექსტის შესაბამისად;
- 2.1.17. ნივთობრივად უნაკლო - მომრავი ნივთი ან/და უმრავი ნივთი ნივთობრივად უნაკლოა, თუ იგი შესაბამეა შეთანხმებულ პირობებს; ხოლო, თუ ეს პირობები შეთანხმებული არ არის, მაშინ მომრავი ნივთი ან/და უმრავი ნივთი ნივთობრივად უნაკლოა, თუკი იგი/ისინი ვარგისია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან ჩვეულებრივი გამოყენებისათვის. ამასთან, ნივთობრივად უნაკლო ნაკლები რაოდენობის მომრავი ან/და უმრავი ნივთი დამზადდება.
- 2.1.18. პირგასამტებლო (ჯარიმა) - ხელშეკრულებით განსაზღვრული ფულადი თანხა, რომლის გადახდაც მხარეს დაეკისრება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით. ამასთან, პირგასამტებლოს დაწესება დაიწყება დამრღვევი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების მომენტიდან, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ იქნება გათვალისწინებული, ხოლო პირგასამტებლოს გადახდის ვალდებულება ხელშეკრულების დამრღვევ მხარეს წარმოეუბნება, მხოლოდ მეორე მხარის მოთხოვნის საფუძველზე.
- 2.1.19. პერსონალური მონაცემები - განიმარტება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და გულისხმობს ნებისმიერ ინფორმაციას, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს.
- 2.1.20. პირი/პირები - ფიზიკური პირ(ები), იურიდიული პირ(ები) (მათ შორის საჯარო სამართლის იურიდიული პირ(ები)), არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირ(ები) ან/და კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი სხვა ორგანიზაციული/არაარეგისტრირებული წარმონაქმნ(ებ)ი;
- 2.1.21. პროდუქტი - ნაწარმოები, მომრავი ნივთი ან მისი ნაწილი, გარდა გადაუმუშავებელი, მეხობველეობის, მეფუტკრეობის, მეთევზეობის, ნადირობის ან/და მიწათმოქმედების შედეგად მიღებული ნატურალური სასოფლო-სამეურნეო პროდუქტ(ებ)ისა.
- 2.1.22. საანგარიშო თვე - 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე;
- 2.1.23. საბანკო დღე - ზანკის მიერ დადგენილი საშუაო დღის (ზანკის მიერ განსაზღვრული დასვენების ან/და კანონმდებლობით დადგენილი უქმე დღეების გარდა) ის ნაწილი, რომლის განმავლობაშიც ზანკი ახორციელებს საბანკო მომსახურებას.
- 2.1.24. უფლებრივად უნაკლო - მომრავი ნივთი, უმრავი ნივთი ან/და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომლის მიმართ მესამე პირ(ებ)ს არ შეუძლიათ გამოიყენონ რაიმე სახის უფლებები ზანკის წინააღმდეგ ან/და წარუდგინონ ზანკს პრეტენზია აღნიშნული უფლებების გამო;
- 2.1.25. უმრავი ნივთი - მიწის ნაკვეთი(ები) მასზე არსებული შენობა-ნაგებობ(ებ)ით ან მის/მათ გარეშე, შენობა-ნაგებობა/შენობა-ნაგებობები (შშენებარე, აშენებული ან დანგრეული), შენობა-ნაგებობ(ებ)ის ერთეულ(ებ)ი (შშენებარე, აშენებული ან დანგრეული) და ხაზობრივი ნაგებობა/ნაგებობები;
- 2.1.26. შემსრულებელი - მომსახურების ხელშეკრულების 1.2. პუნქტში მითითებული პირი, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების მხარეს;
- 2.1.27. ფორს-მაჟორი/ფორს-მაჟორული გარემოებ(ებ)ი - ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ წარმოშობილი დაუძლეველი ძალის გარემოებები, სტიქიური მოვლენები, კატაკლიზმები, ომი, სამოქალაქო არეულობა, ვაფიფვა, ლოკაუტი, კარანტინი, საკანონმდებლო, აღმასრულებელი ხელისუფლების ან/და თვითმმართველობის ორგანოების, საერთაშორისო საგადასხდელი სისტემების გადაწყვეტილებები და ა.შ. რომელიც: (ა) არ არის დაკავშირებული მხარეთა ქმედებასთან ან/და უმოქმედობასთან; და (ბ) შეუძლებელს ხდის მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვადამოსული ვალდებულებ(ებ)ის სრულ და ჯეროვან შესრულებას.
- 2.1.28. ქვეკონტრაქტორ(ებ)ი - მესამე პირ(ები), რომლებთანაც არსებული ხელშეკრულების საფუძველზე შემსრულებელი უზრუნველყოფს მის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებას;
- 2.1.29. ხელშეკრულება - მხარეთა შორის გაფორმებული: (ა) მომსახურების ხელშეკრულება; (ბ) ძირითადი პირობები და ნებისმიერი დამატებითი დანართი, რომელიც დაიდო/დაიდგმა ხელშეკრულებასთან დაკავშირებით და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

3. განცხადებები და გარანტიები

- 3.1. **შემსრულებელი** აცხადებს და იძლევა გარანტიას, რომ:
 - 3.1.1. წარმოადგენს უფლებამოსიან და ქმედუნარიან პირს, რომელსაც **ხელშეკრულების** დადების მიზნით მოპოვებული აქვს ყველა საჭირო თანხმობა, ნებართვა ან/და დავალება (მინდობილობა);
 - 3.1.2. **ხელშეკრულების** დადება ან/და შესრულება არ მოდის წინააღმდეგობაში **კანონმდებლობასთან** (მათ შორის **შემსრულებლის** იურისდიქციის კანონმდებლობასთან), საერთაშორისო ნორმებთან, **შემსრულებლის** დებულებებთან, წესდებებთან, გადაწყვეტილებებთან, სადამფუძნებლო ან/და სხვა სახის დოკუმენტებთან, არ იწვევს სხვა სახელშეკრულებო/სამართლებრივი ურთიერთობებით ნაკისრი/განსაზღვრული ვალდებულებ(ებ)ის დარღვევას და არ წარმოშობს **მესამე პირ(ებ)ისათვის ხელშეკრულებაზე** შეცილების უფლებას;
 - 3.1.3. **ხელშეკრულების** დადების თარიღისათვის მისთვის არ არის ცნობილი **ფორს-მაჟორის** არსებობის შესახებ, რომელიც შეუძლებელს გახდის **მხარეთა** მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვადამოსული ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებას;
 - 3.1.4. **შემსრულებელი** მოპასუხის ან მესამე პირის სახით არ მონაწილეობს სასამართლო ან/და საარბიტრაჟო დავაში, ადმინისტრაციულ წარმოებებში, რომელიც ხელს შეუშლის **მხარეთა** მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვნად შესრულებას;
 - 3.1.5. წარმოადგენს გადახდისუნარიან **პირს**, რომლის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუნარიანობის (გაკოტრების ან რეაბილიტაციის) საქმისწარმოება, ლიკვიდაციის პროცესი ან/და არ არსებობს სხვა სახის გარემოება, რომელიც ხელს შეუშლის **მხარეთა** მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვნად შესრულებას;
 - 3.1.6. **ხელშეკრულების** დადების მიზნით, **ბანკისათვის** წარდგენილი ინფორმაცია არის უტყუარი და ზუსტი, ხოლო დოკუმენტები (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად წესდება, სადამფუძნებლო დოკუმენტ(ებ)ი, დავალება (მინდობილობა) და სხვა) წარმოადგენს სრულ და მოქმედ რედაქციას;
 - 3.1.7. **შემსრულებელი** არ მონაწილეობს, პირდაპირ ან არაპირდაპირ, რაიმე უკანონო საქმიანობაში (მათ შორის, ფულის გათეთრებაში, იარაღით ვაჭრობაში, ნარკოტიკებით ვაჭრობაში ან/და ტერორიზმში), რომელიც ეწინააღმდეგება ნებისმიერი იურისდიქციის კანონმდებლობას (მათ შორის, **შემსრულებლის** რეზიდენტ ქვეყნის იურისდიქციის კანონმდებლობას) და არ იყენებს თავის საქმიანობაში (მათი თანხმობის ან/და შესაბამისი ნებართვის გარეშე) არასრულწლოვნის ან/და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების შრომას.
 - 3.1.8. **ხელშეკრულების** დადებისას **ბანკის** ან/და **მესამე პირ(ებ)ის** მხრიდან ადგილი არ ჰქონია, **შემსრულებლის** ან/და მისი ახლობლების მიმართ იძულებას, მოტყუებას ან/და მუქარას, **ბანკს** არ უსარგებლია **შემსრულებლის** მიმღე ფინანსური მდგომარეობით და არ გამოუყენებია ბოროტად **ბანკის** სახაზრო ძალაუფლება.
- 3.2. **შემსრულებელი** ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს **ბანკს** ნებისმიერი გარემოებ(ებ)ის შესახებ, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს **ხელშეკრულებაში** მითითებული **განცხადებებისა და გარანტიების** ან/და **ხელშეკრულებით** ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულებ(ებ)ის დარღვევა.
- 3.3. **მხარეები** აცხადებენ და თანხმდებიან, რომ **ხელშეკრულებას** დებენ **განცხადებებსა და გარანტიებზე** დაყრდნობით და თვლიან მათ **ხელშეკრულების** პირობებდა. შესაბამისად, **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული **განცხადებებისა და გარანტიების** დარღვევა საკმარის საფუძველს წარმოადგენს **ბანკის** მიერ **ხელშეკრულებაზე** გადამხრები უარის სათქმელად.
- 3.4. **შემსრულებელი** ვალდებულია, **ხელშეკრულების** მოქმედების პერიოდში, თავისი სამართლებრივი სტატუსის ცვლილების შესახებ დაუყოვნებლივ აცხადოს **ბანკს**. შეტყობინების პირობის დარღვევის შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან **ბანკისათვის** წამოყენებულ ნებისმიერ მოთხოვნაზე სრული ფინანსური პასუხისმგებლობა ეკისრება **შემსრულებელს**. ამავე პუნქტით გათვალისწინებული სანქციის გამოყენება არ გამოირცხავს **შემსრულებლის** მიმართ **ხელშეკრულების** გათვალისწინებული პირგასამტეხლოს გამოყენების უფლებასაც (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
- 3.5. **შემსრულებელი** ვალდებულია მოეპყრას მისთვის ხელმისაწვდომ ინფორმაციას როგორც კონფიდენციალურს, პირდაპირ თუ არაპირდაპირ არ მოახდინოს ამ ინფორმაციის რაიმე გზით კოპირება ან/და ხელმისაწვდომი ინფორმაციის გადაცემა მესამე პირ(ებ)ზე. **შემსრულებელი** ვალდებულია მიიღოს ყველა კეთილგონივრული ზომა ხელმისაწვდომი ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის მიზნით წინამდებარე **ხელშეკრულების** მოქმედების ვადის და მისი შეწყვეტის შემდგომი პერიოდის განმავლობაში.

4. ხელშეკრულების ძირითადი პირობები

- 4.1. **შემსრულებელმა** პირადად უნდა შეასრულოს **მომსახურება**. თუ **ხელშეკრულებით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული, პირად შესრულებას უთანაბრდება **მომსახურების** შესრულება **შემსრულებლის** თანამშრომლ(ებ)ის, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირ(ებ)ის ან/და **ქვეკონტრაქტორ(ებ)ის** მიერ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
- 4.2. თუ **მომსახურება** ითვალისწინებს **ბანკისათვის მოძრავი ნივთის** ან/და **უძრავი ნივთის** მიწოდებას/გადაცემას, **შემსრულებელმა** **ბანკს** უნდა წარუდგინოს **ნივთობრივად** და **უფლებრივად უნაკლო მოძრავი** ან/და **უძრავი ნივთი**.

- 4.3. თუ **მომსახურება** ითვალისწინებს **ბანკისათვის არამატერიალური ქონებრივი სიკეთის** (მათ შორის **ინტელექტუალური პროდუქტის**) მიწოდებას, **შემსრულებელმა** **ბანკს** უნდა წარუდგინოს **უფლებრივად უნაკლო არამატერიალური ქონებრივი სიკეთე** (მათ შორის **ინტელექტუალური პროდუქტი**).
- 4.4. **ბანკი** უფლებამოსილია **შემსრულებლისაგან** ნებისმიერ დროს მოითხოვოს, ხოლო **შემსრულებელი** ვალდებულია **ბანკს** მიაწოდოს **ქვეკონტრაქტორ(ებ)თან** დადებული ხელშეკრულებ(ებ)ის სათანადო წესით დამოწმებული ასლები.
- 4.5. **ქვეკონტრაქტორ(ებ)თან** დადებული არც ერთი ხელშეკრულება არ ათავისუფლებს **შემსრულებელს** მის მიერ ამ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებებისგან, მათ შორის ერთმნიშვნელოვნად ნებისმიერი სახის ზიანის (ზარალის) ანაზღაურებისგან, მიუხედავად იმისა **ქვეკონტრაქტორ(ებ)ის** შერჩევაში **ბანკმა** მიიღო თუ არა რაიმე სახის მონაწილეობა.
- 4.6. თუ **ხელშეკრულებით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული **შემსრულებლის** მიერ **მომსახურებასთან** დაკავშირებული ხარჯთაღრიცხვის შედგენა **ბანკის** მიერ არ ანაზღაურდება.
- 4.7. **შემსრულებელმა** დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს **ბანკს** ნებისმიერი იმ გარემოებ(ებ)ის შესახებ, რომლის გათვალისწინებაც **შემსრულებლის** მიერ **ხელშეკრულების** დადებისას შეუძლებელი იყო და რამაც შესაძლოა გამოიწვიოს **მომსახურების** საფასურის გაზრდა (შემდგომში - **შეცვლილი გარემოებები**).
- 4.8. **ბანკის** მოთხოვნისას, **შემსრულებელმა** უნდა წარუდგინოს **ბანკს** **ბანკისათვის** მისაღები ავტორიტეტული საექსპერტო დაწესებულების დასკვნა, რომლითაც დადასტურებული იქნება **შემსრულებლის** მიერ მითითებული **შეცვლილი გარემოებების** ნამდვილობა და გაგვინა **მომსახურების** საფასურის მოცულობაზე.
- 4.9. **შეცვლილი გარემოებების** არსებობის დადასტურებისას **ბანკი** უფლებამოსილია: (ა) მოითხოვოს **ხელშეკრულების** მისადაგება აღნიშნული გარემოებებისადმი ან (ბ) გადამხრავდ შეწყვიტოს **ხელშეკრულება**.
- 4.10. თუ **მომსახურება** ან მისი ნაწილი სრულდება **ბანკის** მასალით, **ბანკის** მიერ **შემსრულებლისათვის** მასალის (მათ შორის **უძრავი** ან/და **მოძრავი ნივთების**) გადაცემა, **ბანკის** მოთხოვნის შემთხვევაში, განხორციელდება **მხარეთა** შორის შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.
- 4.11. **შემსრულებელი** ვალდებულია დაუყოვნებლივ გააფრთხილოს **ბანკი**, რომ: (ა) **ბანკისაგან** მიღებული მასალა (მათ შორის **უძრავი** ან/და **მოძრავი ნივთები**) უხარისხო ან/და გამოუსადეგარია; (ბ) **ბანკის** მითითებების შესრულება გამოიწვევს **მომსახურების** უხარისხო შესრულებას (ნამუშევრის არასიმტკიცეს, გამოუდგეგარობას და სხვა); ან/და (გ) არსებობს **შემსრულებლისაგან** დამოუკიდებელი სხვა გარემოება, რომლის აღმოფხვრაც შესაძლებელია **ბანკის** მიერ და რომელიც საფრთხეს უქმნის **მომსახურების** ხარისხს (ნამუშევრის სიმტკიცეს ან/და ვარისიანობას). ამასთან, **ბანკი** **შემსრულებლის** გაფრთხილების მიღებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში, ხოლო აღნიშნული ვადის სიმცირის შემთხვევაში, **ბანკის** მიერვე განსაზღვრულ ვადაში, უზრუნველყოფს გაფრთხილებაში მითითებული გარემოებების აღმოფხვრას.
- 4.12. **ბანკის** მოთხოვნის შემთხვევაში ან/და **მომსახურების** დასრულებისას, **შემსრულებელი** ვალდებულია დაუბრუნოს **ბანკს** **მომსახურების** შესრულებისას გამოყენებული **ბანკის** მასალა (მათ შორის **მოძრავი** ან/და **უძრავი ნივთები**).
- 4.13. **ბანკის** მოთხოვნის შემთხვევაში, **ბანკის** მიერვე განსაზღვრული ფორმით, **შემსრულებელი** ვალდებულია: (ა) **ბანკს** მასალა დაუბრუნოს **მხარეთა** შორის შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე; (ბ) წარუდგინოს **ბანკს** აღნიშნული მასალის (მათ შორის **მოძრავი** ან/და **უძრავი ნივთების**) ხარჯვის დასაბუთებული ანგარიშ(ებ)ი.
- 4.14. **შემსრულებლის** მიერ **ბანკისათვის** **მომსახურების** (მათ შორის **უძრავი ნივთის, მოძრავი ნივთის** ან/და **არამატერიალური ქონებრივი სიკეთის**) მიწოდება, თუ ეს გათვალისწინებულია **ხელშეკრულებით**, უნდა დასტურდებოდეს **მხარეთა** შორის შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტით.
- 4.15. მიუხედავად **მხარეთა** შორის მიღება-ჩაბარების აქტის არსებობის ან არარსებობისა, თუ **შემსრულებლის** მიერ **ბანკისათვის** მიწოდებული **მომსახურება** ან მისი ნაწილი (მათ შორის **უძრავი ნივთი, მოძრავი ნივთი** ან/და **არამატერიალური ქონებრივი სიკეთე**) არ არის **უფლებრივად** ან/და **ნივთობრივად უნაკლო, ბანკი** უფლებამოსილია მოითხოვოს, ხოლო **შემსრულებელი, ბანკის** მიერ განსაზღვრულ ვადაში (დამატებით ვადა), ვალდებულია აღმოფხვრას არსებული ნაკლი ან მიწოდის **ბანკს** ახალი ნაკეთობა. ამასთან, **შემსრულებლისათვის** განსაზღვრული/დამატებითი ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში, **ბანკი** უფლებამოსილია თავად განახორციელოს ნაკლის აღმოფხვრა და მოსთხოვოს **შემსრულებელს** ნაკლის გამოსწორებისათვის გაწეულის ხარჯის, მათ შორის ზიანის (ზარალის), სრულად ანაზღაურება.
- 4.16. თუ ვალდებულების დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე **ბანკის** მიერ დამატებითი ვადა არ გამოიყენება, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება. **ბანკის** მიერ **შემსრულებლის** გაფრთხილების შემთხვევაში, **ბანკი** უფლებამოსილია: (ა) თავად განახორციელოს ნაკლის აღმოფხვრა და მოსთხოვოს **შემსრულებელს** ნაკლის გამოსწორებისათვის გაწეულის ხარჯის, მათ შორის ზიანის (ზარალის), სრულად ანაზღაურება ან/და (ბ) სრულად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს **ხელშეკრულების** მოქმედება.
- 4.17. თუ **შემსრულებელმა** **მომსახურების** შედეგად **ბანკისათვის** გადაცემული **უძრავი** ან/და **მოძრავი ნივთებისათვის** იკისრა საგარანტიო ვადა, ამ ვადის განმავლობაში გამოვლენილი ნაკლი (როგორც უფლებრივი ასევე ნივთობრივი)

წარმოშობს **ბანკის** მოთხოვნის უფლებას (მათ შორის ნაკლის გამოსწორების ან/და ზიანის/ზარალის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას).

5. ინტელექტუალური პროდუქტთან დაკავშირებული დამატებითი პირობები

5.1. **ბანკის** მიერ **შემსრულებლისთვის** მიწოდებული ან **შემსრულებლის** მიერ **ხელშეკრულების** საფუძველზე **ბანკისათვის** შექმნილი **ინტელექტუალური პროდუქტი** წარმოადგენს **ბანკის** ექსკლუზიურ საკუთრებას. ამასთან **შემსრულებლის** მიერ **ბანკისათვის** **ინტელექტუალური პროდუქტის** მიწოდების შემთხვევაში **შემსრულებელი** სრულად გადასცემს **ბანკს** **ინტელექტუალურ პროდუქტთან** დაკავშირებულ ყველა საავტორო და მომპოვანვე უფლებას (მათ შორის როგორც ქონებრივ ისე არაქონებრივ უფლებებს), პატენტებს, გამოგონებებს, სასარგებლო მოდელებს, დიზაინის, სასაქონლო ნიშნის ან/და ინტერნეტ დომენის სარგებლობასთან/ამოყენებასთან და განკარგვისთან დაკავშირებული უფლებებს, რომელთა გადაცემა დასაშვებია **კანონმდებლობით**.

5.2. იმ შემთხვევაში თუ **ბანკის** მიერ **ინტელექტუალური პროდუქტით** სარგებლობა ან/და **ინტელექტუალური პროდუქტის** გამოყენება ან/და განკარგვა საჭიროებს **შემსრულებლის** ან/და **ინტელექტუალური პროდუქტის** შექმნაზე მომუშავე სხვა პირის ან/და პირის, რომლის **ინტელექტუალური პროდუქტი** ჩართულია **შემსრულებლის** მიერ **ბანკისათვის** გადაცემულ **ინტელექტუალურ პროდუქტში**, თანხმობას/დასტურს/მოწონებას, **შემსრულებელი** ვალდებულია უზრუნველყოს ამგვარი თანხმობის/დასტურის/მოწონების მოპოვება და **ბანკისათვის** წარდგენა **ბანკისათვის** **ინტელექტუალური პროდუქტის ხელშეკრულებით** გათვალისწინებული წესით გადაცემაზე, ხოლო **ინტელექტუალური პროდუქტის ბანკისათვის** გადაცემისას ასეთის არ არსებობის შემთხვევაში, თანხმობის/დასტურის/მოწონების გაცემა ან/და მოპოვება და **ბანკისათვის** წარდგენა **ბანკის** მიერ განსაზღვრულ ვადაში, **ბანკის** მიერვე განსაზღვრული ფორმით, შინაარსით და პირობებით.

5.3. იმ შემთხვევაში თუ **ინტელექტუალური პროდუქტი** შეიცავს **პირის** პერსონალურ მონაცემებს ან/და **ინტელექტუალური პროდუქტის** შექმნისას გამოყენებულია **შემსრულებლის** ან/და **მესამე პირის** პერსონალური მონაცემები **შემსრულებელი** ვალდებულია უზრუნველყოს ყველა საჭირო თანხმობის/დასტურის/მოწონების მოპოვება ადინშული მონაცემების გამოყენებაზე/დამუშავებაზე, როგორც **შემსრულებლისა** და **ბანკის** ისე ნებისმიერი **მესამე პირის** მიერ.

5.4. **შემსრულებელი** წინამდებარე **ხელშეკრულებაზე** ხელმოწერით ადასტურებს, რომ **ბანკი** არ არის ვალდებული მიუთითოს **ინტელექტუალურ პროდუქტზე** ავტორის ვინაობა.

5.5. **შემსრულებელი** იღებს ვალდებულებას **ბანკის** მიერ წინამდებარე **ხელშეკრულების** ფარგლებში მიწოდებული მასალა გამოიყენოს მხოლოდ წინამდებარე **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული **მომსახურების** შესრულების მიზნებისთვის და არ დაუშვას აღნიშნული **მასალა(ებ)ის** გასაჯაროება **მესამე პირებზე** გადაცემა ან/და სხვა სახით გამოყენება, თუ **ბანკთან** შეთანხმებით სხვა რამ არ იქნება განსაზღვრული.

6. ხელშეკრულების შესრულების გარანტია და კონტროლი

6.1. **ბანკს** უფლება აქვს **ხელშეკრულების** შესრულების ნებისმიერ ეტაპზე გააკონტროლოს **შემსრულებლის** ან/და **ქვეკონტრაქტორ(ებ)ის** მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

6.2. **შემსრულებელი** ვალდებულია **ბანკის** წერილობითი მოთხოვნისას უზრუნველყოს **ბანკი** კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი სამუშაო პირობებით.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა

7.1. **მხარეები** იღებენ ვალდებულებას აუნაზღაურონ ერთმანეთს მათ მიერ **ხელშეკრულების** შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი (ზარალი) **კანონმდებლობით** ან/და **ხელშეკრულებით** დადგენილი წესით.

7.2. მიუხედავად **ხელშეკრულების** 7.1. პუნქტით განსაზღვრული გარანტიისა, **შემსრულებლის** მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების უზრუნველსაყოფად, **შემსრულებელი** აცხადებს წინასწარ თანხმობას **ბანკის** სრულ უფლებამოსილებაზე, **ბანკმა** საკუთარი შეხედულებისამებრ:

7.2.1. **შემსრულებლის** ნებისმიერი სახის **ბანკში** არსებული **ანგარიშიდან** უაქცეპტოდ ჩამოწეროს ყველა გადასახდელი (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად ზიანის/ზარალის ანაზღაურების თანხები) და მიმართოს არსებული ფულადი ვალდებულებების დასაფარად/შესამცირებლად;

7.2.2. თუ გადასახდელი და **ანგარიშზე** რიცხული თანხა სხვადასხვა ვალუტაშია, **ბანკმა** თავად განახორციელოს კონვერტაცია გადახდის თარიღისათვის **ბანკში** მოქმედი კომერციული კურსით, ხოლო კონვერტაციის მომსახურების ღირებულება ასევე უაქცეპტოდ ჩამოწეროს **შემსრულებლის ანგარიშიდან**.

7.2.3. **ბანკის** წინაშე არსებული **შემსრულებლის** ვალდებულებები გაკეთის **შემსრულებლის** წინაშე არსებულ **ბანკის** ნებისმიერ ვალდებულებაში (მათ შორის

ერთმნიშვნელოვნად **მომსახურების** საფასურის გადახდის ვალდებულებაში და სხვა).

7.3. **შემსრულებელი** ვალდებულია აუნაზღაუროს **ბანკს** ნებისმიერი ზიანი/ზარალი, რომელიც გამომდინარეობს **ბანკისაგან** მიღებული მასალის (მათ შორის **მომრავი** ან/და **უძრავი ქონების**) ან/და **შემსრულებლის** მიერ დამზადებული ნაკეთობის დაზიანების, დაკარგვის ან/და განადგურების შედეგად.

7.4. **ხელშეკრულების** ან/და საგარანტო ვადის მოქმედების განმავლობაში **შემსრულებელი** პასუხისმგებელია **მესამე პირებისათვის** მიყენებული ნებისმიერი ზიანისათვის (ზარალისათვის), რომელიც გამომდინარეობს **მომსახურებიდან**.

7.5. თუ **მომსახურება** ითვალისწინებს **შემსრულებლის** მიერ **ბანკისთვის** **პროდუქტის** მიწოდებას და **შემსრულებელი** წარმოადგენს **პროდუქტის მწარმოებელს**, **შემსრულებელი** პასუხისმგებელია **პროდუქტით** გამოწვეული ნებისმიერი ზიანისათვის/ზარალისათვის, მიუხედავად იმისა, იმყოფება თუ არა **შემსრულებელი** სახელშეკრულებო ურთიერთობაში დაზარალებულ **პირთან**.

8. ხელშეკრულების მოქმედება და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. თუ **მომსახურების ხელშეკრულებით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული, **ხელშეკრულება** ძალაში შედის **მხარეთა** მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **მხარეთა** მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

8.2. **ხელშეკრულებით** ან/და **კანონმდებლობით** განსაზღვრულ შემთხვევებში და პირობებში შესაძლებელია **ხელშეკრულების** ვადამდე სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტა:

8.2.1. **ბანკის** მიერ დაუყოვნებლივ, თუ **შემსრულებელი** სრულად და ჯეროვნად არ შესრულებს **ხელშეკრულებით** განსაზღვრულ ნებისმიერ ვალდებულებას (მათ შორის, ფულად ვალდებულებას, **განცხადებებს** და **გარანტიებს**, ნებისმიერ პირობას ან/და სხვა ვალდებულებას);

8.2.2. **ბანკის** მიერ ცალმხრივად;

8.2.3. **მხარეთა** წერილობითი შეთანხმებით;

8.2.4. **ხელშეკრულებით** ან/და **კანონმდებლობით** გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

8.3. იმ შემთხვევაში, თუ **შემსრულებელი** **კანონმდებლობის** საფუძველზე და მის შესაბამისად მიიღებს **ხელშეკრულების** ცალმხრივად სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტის გადაწყვეტილებას, მიღებულია წერილობით შეატყობინოს **ბანკს** მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიზეზის საფუძველი და ამოქმედების თარიღი, რომელიც არ უნდა იყოს 60 (სამოცი) კალენდარულ დღეზე ნაკლები. ხოლო თუ **ხელშეკრულებით** ან/და **კანონმდებლობით** გათვალისწინებულ შემთხვევებში **ხელშეკრულება** უნდა შეწყვედეს უფრო მოკლე ვადებში ან/და **ბანკს** მიზანშეწონილად მიაჩნია **ხელშეკრულების** უფრო მოკლე ვადებში შეწყვეტა, **ხელშეკრულება** შეიძლება უფრო მოკლე ვადებშიც შეწყვედეს.

8.4. იმ შემთხვევაში თუ **ბანკი** მიიღებს **ხელშეკრულების** ცალმხრივად სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტის გადაწყვეტილებას, ვალდებულია შეატყობინოს **შემსრულებელს** მიღებული გადაწყვეტილება და ამოქმედების თარიღი, რომელიც 1 (ერთი) თვეზე მეტი ხნის ვადით გაფორმებული **ხელშეკრულების** შემთხვევაში არ უნდა იყოს 10 (ათი) კალენდარული დღეზე ნაკლები, ხოლო 1 (ერთი) თვეზე ნაკლები ხნის ვადით გაფორმებული **ხელშეკრულების** შემთხვევაში - 1 (ერთი) კალენდარულ დღეზე ნაკლები.

8.5. **ბანკის** მიერ, გარდა **ხელშეკრულების** 8.2.1. პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა, **ხელშეკრულების** ვადამდე სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტის შემთხვევაში **ბანკი** ვალდებულია გადაუხადოს **შემსრულებელს** საფასური მის მიერ ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს/მომსახურების შესაბამისად. საფასურის გადახდა ათავისუფლებს **ბანკს** **ხელშეკრულების** სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანის (ზარალის) ანაზღაურების ვალდებულებისაგან.

8.6. **შემსრულებლის** მიერ **ხელშეკრულების** ვადამდე სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტის შემთხვევაში **ბანკი** ვალდებულია გადაუხადოს **შემსრულებელს** საფასური მის მიერ ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს/მომსახურების შესაბამისად, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ **შემსრულებლის** მხრიდან შეწყვეტა განპირობებულია მნიშვნელოვანი საფუძველით და **ბანკს** **ხელშეკრულების** შეწყვეტამდე გაწეული **მომსახურების** მიმართ გააჩნია ინტერესი;

8.7. თუ **ხელშეკრულება შემსრულებელმა** მამონ შეწყვეტა, როდესაც **ბანკი** მოკლებული იყო შესაძლებლობას, სხვაგვარად უზრუნველყო თავისი ინტერესები, **შემსრულებელმა** უნდა აანაზღაუროს **ხელშეკრულების** შეწყვეტით **ბანკისათვის** მიყენებული ნებისმიერი სახის ზიანი (ზარალი), გარდა იმ შემთხვევებისა, როცა **შემსრულებელს** ამისათვის მნიშვნელოვანი საფუძველი ჰქონდა.

8.8. **ხელშეკრულების** შეწყვეტის შემთხვევაში:

8.8.1. **შემსრულებელი** ვალდებულია დაუბრუნოს **ბანკს** ყველაფერი რაც მან მიიღო **მომსახურების** შესასრულებლად (მათ შორის **მომრავი** ან/და **უძრავი ქონება**).

8.8.2. **ბანკი** უფლებამოსილია **შემსრულებლის** მიერ **ბანკისათვის** გადასახდელის მოცულობის ფარგლებში არ გადაუხადოს **შემსრულებელს** **ხელშეკრულების** შეწყვეტის მომენტში არსებული **მომსახურების** საფასური, რაც შესაბამისი მოცულობით ჩაითვლება (გაიკვითება) **შემსრულებლის** მიერ **ბანკისათვის** გადასახდელის ანგარიშში.

8.9. **ხელშეკრულების** სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტა არ ათავისუფლებს **შემსრულებელს** **ხელშეკრულებით** ნაკისრი ან/და **კანონმდებლობით** დადგენილი

ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისაგან (გადახდისაგან) ამგვარი ვალდებულების იძულებითი ან ნებაყოფლობითი შესრულების მომენტამდე.

8.10. თუ ხელშეკრულების სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტის შედეგები (მათ შორის პასუხისმგებლობა) არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებით, მაშინ მხარეები იხელმძღვანელებენ შესაბამისი კანონმდებლობით.

9. ანგარიშსწორება

9.1. ხელშეკრულების საფუძველზე არსებული ფულადი ვალდებულებები, გარდა მომსახურების საფასურისა, უნდა შესრულდეს (გადახდილ უნდა იქნას) შესაბამისი ფულადი ვალდებულებების წარმოშობიდან (პირგასამტეხლოს, ზიანის/ზარალის ანაზღაურების შემთხვევაში მისი/მათი გადახდის მოთხოვნის წარდგენიდან) 10 (ათი) საბანკო დღის ვადაში.

9.2. თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, მხარეთა შორის ანგარიშსწორება წარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

9.3. უნაღდო ანგარიშსწორების შემთხვევაში ფულადი სახსრები უნდა ჩაირიგებოს ხელშეკრულებაში მითითებულ ან მხარეთა მიერ დამატებით მიწოდებულ/განსაზღვრულ საბანკო რეკვიზიტებზე.

10. კომუნიკაცია

10.1. მხარეთა შორის ნებისმიერი ურთიერთობა უნდა განხორციელდეს წერილობითი ფორმით და მიეწოდოს მხარეს მომსახურების ხელშეკრულებაში ან/და ბანკთან არსებულ სხვა ხელშეკრულებებში მითითებულ საკონტაქტო მონაცემებზე პირადად, კურიერის (მათ შორის რეგისტრირებული ფოსტის ან/და სასამართლო კურიერის), ელექტრონული ფოსტის, ფიჭური კავშირგაბმულობის (მოკლექტესტური შეტყობინების) ან/და ბანკის მიერ შემდგომში განსაზღვრული კომუნიკაციის სხვა საშუალებებით, იმის გათვალისწინებით, რომ:

10.1.1. შემსრულებლის მიერ ბანკისათვის პირადად ან/და კურიერის საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება ბანკის კანცელარიაში შეტყობინების რეგისტრაციის დღეს, ხოლო ელექტრონული ფოსტის მისამართზე გაგზავნისას, ბანკის მიერ შემსრულებლისათვის მიღების დამადასტურებელი საპასუხო ელექტრონული წერილის გაგზავნის დღეს;

10.1.2. ბანკის მიერ შემსრულებლისათვის კურიერის (მათ შორის რეგისტრირებული ფოსტის ან/და სასამართლო კურიერის) საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება შემსრულებლისათვის ჩაბარების დღეს, ხოლო აღნიშნული ჩაბარების დადასტურების არ არსებობის შემთხვევაში შემსრულებლის მისამართზე შეტყობინების ნებისმიერი პირისთვის ჩაბარებიდან მომდევნო კალენდარულ დღეს;

10.1.3. ბანკის მიერ შემსრულებლისათვის ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება შემსრულებლის ელექტრონული ფოსტის სერვერიდან მიღებული დასტურის (ადრესატის ელექტრონულ ფოსტაში რეგისტრაციის შესახებ შეტყობინების) გაცემის დღეს, ხოლო ასეთი დასტურის არ არსებობის შემთხვევაში მომდევნო კალენდარულ დღეს;

10.1.4. ბანკის მიერ შემსრულებლისათვის ფიჭური კავშირგაბმულობის (მოკლექტესტური შეტყობინების) ან/და ბანკის მიერ შემდგომში განსაზღვრული კომუნიკაციის სხვა საშუალებებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება შეტყობინების გაგზავნიდან მომდევნო კალენდარულ დღეს.

10.2. იმ შემთხვევაში თუ შემსრულებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი საკონტაქტო მონაცემის (მათ შორის ხელშეკრულებაში არსებული ნებისმიერი რეკვიზიტის) ცვლილების შესახებ წინასწარ არ შეატყობინებს ბანკს ან/და უშუალოდ ან საკონტაქტო პირის საშუალებით უარს განაცხადებს ხელშეკრულების საფუძველზე გაგზავნილი შეტყობინების მიღებაზე, ან გაგზავნილი შეტყობინება ვერ ჩაბარდება შემსრულებელს მისამართზე არყოფნის მიზეზით ზედიხედ ორჯერ, ბანკის მიერ განხორციელებული ნებისმიერი ასეთი შეტყობინება ჩაითვლება ჩაბარებულად შეტყობინების გაგზავნიდან მომდევნო კალენდარულ დღეს.

11. კონფიდენციალურობა

11.1. მხარე ვალდებულია, როგორც ხელშეკრულების მოქმედების ვადაში, ასევე სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების შემდეგაც, არ გაამჟღავნოს ან/და მესამე პირ(ებ)ს არ გადასცეს კონფიდენციალური ინფორმაცია.

11.2. კონფიდენციალურ ინფორმაციას არ განეკუთვნება: (ა) ინფორმაცია რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე არის/გაბადება საჯარო; (ბ) ინფორმაცია, რომლის გამჟღავნების თაობაზეც არსებობს კონფიდენციალური ინფორმაციის მესაკუთრე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობა ან/და მხარეთა შეთანხმება; (გ) ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებაც განხორციელდება, კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მათ შორის მესამე პირ(ებ)ის კანონიერი მოთხოვნის დაკმაყოფილების შედეგად;

11.3. შემსრულებელი ბანკს ანიჭებს უფლებამოსილებას, შემსრულებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მონიტორინგის, ასევე ბანკის ან/და უფლებამოსილი მესამე პირ(ებ)ის კანონიერი ინტერესების დაცვის

მიზნით, მესამე პირ(ებ)ს გადასცეს ან/და მესამე პირ(ებ)ისაგან მიიღოს (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსგან), შემსრულებლის შესახებ არსებული კონფიდენციალური ინფორმაცია.

12. პერსონალური მონაცემების დამუშავების პირობები

12.1. ბანკის მიერ შემსრულებლისთვის ინფორმაციის, მათ შორის, პერსონალური მონაცემების გაზიარების შემთხვევაში, შემსრულებელი, როგორც ინფორმაციის მიმღები, იღებს პასუხისმგებლობას შემდეგზე:

12.1.1. ინფორმაცია დაამუშავოს მხოლოდ იმ მოცულობით, მიზნით და ფარგლებში, რაც აუცილებელია ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესასრულებლად და ინფორმაციის გაზიარების მიზნ(ებ)ის მისაღწევად;

12.1.2. დაწეროს ყველა შესაბამისი ტექნიკურ/ორგანიზაციული ზომა რათა აცილებულა იქნას ბანკისგან მიღებული ინფორმაციის არავტორიზებული ან უკანონო დამუშავება, არავტორიზებული წვდომა, დაკარგვა, განადგურება, დაზიანება, არავტორიზებული ცვლილება ან გასაჯაროება;

12.1.3. არ გადასცეს ინფორმაცია მესამე პირ(ებ)ს (გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევების/საფუძვლისა). ამასთან, მიღებული ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახადოს მხოლოდ იმ თანამშრომლებისათვის, რომლებიც ახორციელებენ ხელშეკრულების მიზნებისთვის აუცილებელ ფუნქციას - მოვალეობებს და რომელთაც აქვთ ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება მათ შორის სამსახურებრივი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ.

12.2. მხარეები აცხობიერებენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე, თუ ბანკისთვის მომსახურების მიწოდება მათ შორის მოიცავს შემსრულებლის მხრიდან პერსონალურ მონაცემებზე წვდომას ან/და ამ მონაცემების ბანკისთვის ან/და მისი სახელით დამუშავებას, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებისათვის, ბანკი წარმოადგენს მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს (შემდგომში - დამუშავებელი) ხოლო შემსრულებელი - დამუშავებაზე უფლებამოსილი პირს (შემდგომში - უფლებამოსილი პირი). შესაბამისად, თითოეული მხარე იღებს ვალდებულებას შესაბამისობაში იყოს ზემოხსენებული კანონის მოთხოვნებთან და მკაცრად დაიცავს ქვემოთ მოცემული პირობები.

12.3. შემსრულებლისთვის, როგორც უფლებამოსილი პირისათვის, მომსახურების პროცესში პერსონალური მონაცემების შემცველ ინფორმაციაზე წვდომა/დამუშავება დაიშვება საჭიროებისამებრ, ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების გაწევის მიზნებისათვის ან/და დადგენილი პირობებით, მათ შორის იმ ტექნიკური ხარვეზების/პრობლემების დროულად აღმოფხვრის მიზნით, რაც ხელს უშლის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების სრულად და ჯეროვნად შესრულებას, ან/და თანმდევი მომსახურების სრული მოცულობით გეროვნად მიწოდებას (ასეთი არსებობის შემთხვევაში).

12.4. ზემოაღნიშნულ შემთხვევაში, შემსრულებელი ვალდებულია მოეპყრას მისთვის ხელმისაწვდომ ინფორმაციას როგორც კონფიდენციალურს, პირდაპირ თუ არაპირდაპირ არ მოახდინოს პერსონალური მონაცემების/პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის გადაცემა მესამე პირ(ებ)ზე, ასევე არ მოახდინოს ამ ინფორმაციის რაიმე გზით კოპირება. შემსრულებელი ამასთანავე ვალდებულია მიიღოს ყველა კეთილგონივრული ზომა ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის მიზნით წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადის და მისი შეწყვეტის შემდგომი პერიოდის განმავლობაში.

12.5. შემსრულებელი იღებს ვალდებულებას მიიღოს შესაბამისი ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისაგან, შეცვლისაგან, გამჟღავნებისაგან, მოპოვებისაგან, დაზიანებისაგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უნებართვო ან უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისაგან დასაცავად. აღნიშნული, მათ შორის გულისხმობს შემსრულებლის ვალდებულებას, პერსონალურ მონაცემების მისთვის გაზიარებამდე, უზრუნველყოს ინფორმაციის კონფიდენციალურობის შესახებ შიდა პოლიტიკის არსებობა (მათ შორის, თავის თანამშრომელთა უფლებამოსილებების შესაბამისად წვდომის აუცილებლობის განსაზღვრა და მათი ინფორმირება მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის საკითხებზე). ინფორმაციაზე წვდომა დაიშვება უფლებამოსილი პირის მხოლოდ იმ თანამშრომლებზე, რომლებიც ასრულებენ მხარეთა მიერ გაფორმებული წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლებებსა და მოვალეობებს და რომელთაც აქვთ ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება მათ შორის სამსახურებრივი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ.

12.6. პერსონალური მონაცემების შემცველ ინფორმაციაზე შემსრულებლის მხრიდან წვდომა/დამუშავება და მისით სარგებლობის უფლება დაიშვება მხოლოდ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნებისთვის და შემსრულებელი იღებს

ვალდებულებას სხვა არც ერთი ფორმით/მიზნით (მათ შორის, არც პირდაპირი მარკეტინგისთვის) არ გამოიყენოს **მომსახურების** პროცესში მისთვის გამჟღავნებული/ხელმისაწვდომი **პერსონალური მონაცემები**.

12.7. **შემსრულებელი** ამასთანავე იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს ელექტრონული და არაელექტრონული ფორმით არსებულ **პერსონალურ მონაცემთა** მიმართ განხორციელებული ყველა მოქმედების (შენახვა, წაშლა, შეცვლა, გამჟღავნება და სხვა) აღრიცხვა (მათ შორის ე.წ. ლოგირება) და შესაბამის მოქმედებაზე პასუხისმგებელი პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობა.

12.8. **მხარეები** თანხმდებიან, რომ **ხელშეკრულებით** განსაზღვრული მომსახურების ფარგლებში გამოყენებული პროგრამული უზრუნველყოფა/სისტემა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა აკმაყოფილებდეს უსაფრთხოების შესაბამის მოთხოვნებს, ამასთან, **შემსრულებელი** უზრუნველყოფს ინფორმაციის გაცვლას საერთაშორისოდ აღიარებული უსაფრთხოების სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად, დაცული საკომუნიკაციო არხის მეშვეობით.

12.9. **შემსრულებელი** ვალდებულია **პერსონალურ მონაცემებზე** არაავტორიზებული წვდომის ან **კონფიდენციალურობის** სხვაგვარად დარღვევის (ინციდენტის) შესახებ დაუყოვნებლივ ან არაუგვიანეს 24 (ოცდაოთხი) საათის წერილობით/ელექტრონული ფორმით შეატყობინოს **ბანკს** შემდეგი ელ-ფოსტის მისამართზე: DPO@lb.ge.

12.10. **შემსრულებელი** ასევე ვალდებულია ითანამშრომლოს და აღმოუჩინოს დახმარება **ბანკს ხელშეკრულებით** განსაზღვრული მომსახურების ფარგლებში მის მიერ დამუშავებულ და **პერსონალურ მონაცემთა** შემცველ ინფორმაციასთან დაკავშირებით საზედამხებდევლო და სხვა უფლებამოსილი ორგანო(ებ)ის მომართვების განხილვის, ასევე მონაცემთა სუბიექტ(ებ)ის მიერ წარდგენილი საჩივრების ან განცხადებების შესწავლისას, მათ შორის:

12.10.1. გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს მოთხოვნიდან 3 (სამი) საბანკო დღისა მიაწოდოს **ბანკს** სრული ინფორმაცია საჩივარში ან განცხადებაში დაფიქსირებულ დეტალებთან დაკავშირებით, მათ შორის მიაწოდოს მონაცემთა სუბიექტის შესახებ მის ხელთ არსებული მონაცემები;

12.10.2. გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს მოთხოვნიდან 3 (სამი) საბანკო დღისა უზრუნველყოს **ბანკისთვის** საჩივარში ან განცხადებაში დაფიქსირებული საკითხის შესწავლისათვის მნიშვნელოვანი, მის ხელთ არსებული სხვა ინფორმაციის მიწოდება;

12.10.3. გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს მოთხოვნიდან 3 (სამი) საბანკო დღისა უზრუნველყოს **ბანკის** წვდომა უფლებამოსილ პირთან (ადგილზე) არსებულ მონაცემებზე;

12.10.4. გაუწიოს **ბანკს** მხარდაჭერა და კომპეტენციის ფარგლებში ხელი შეუწყოს მონაცემთა სუბიექტის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებების (მონაცემთა დაბლოკვა, წაშლა, გასწორება, განახლება და სხვ.) გამოყენებას/რეალიზებას კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და წესით.

12.11. **შემსრულებელმა** დაუყოვნებლივ წერილობით/ელექტრონული ფორმით უნდა აცნობოს **ბანკს**, წინამდებარე **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული მომსახურების ფარგლებში დამუშავებულ **პერსონალურ მონაცემთა** გამჟღავნების მოთხოვნით სასამართლო, სამართალდამცავი და სხვა უწყებიდან შემოსული მიმართვების, ასევე მონაცემთა სუბიექტის მიერ მის **პერსონალურ მონაცემთა** (მათ შორის მონაცემთა სუბიექტის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან) დაკავშირებით მიღებული განცხადებების თაობაზე. მონაცემთა გამჟღავნების შემთხვევებში **შემსრულებელი** ვალდებულია უზრუნველყოს შემდეგი ინფორმაციის რეგისტრაცია: რომელი მონაცემი იქნა გამჟღავნებული, ვისთვის, როდის და რა სამართლებრივი საფუძველით.

12.12. დაუშვებელია, **შემსრულებელმა** მონაცემთა დამუშავების უფლება სხვა პირ(ებ)ს **ბანკის** თანხმობის გარეშე გადასცეს. ამასთან, გადაცემაზე **ბანკის** თანხმობის არსებობის შემთხვევაში, **შემსრულებელი** ვალდებულია მონაცემთა დამუშავების უფლების გადაცემა განახორციელოს წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე, რომლის თანახმადაც მონაცემთა მიმღები (ქვეკონტრაქტორ(ებ)ი ვალდებული იქნება მიიღონ ყველა აუცილებელი ტექნიკური და ორგანიზაციული ზომა **პერსონალური მონაცემების** შემცველი ინფორმაციის შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისაგან, შეცვლისაგან, გამჟღავნებისაგან, მოპოვებისაგან, დაზიანებისგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უნებართვო ან უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისაგან დასაცავად და მათზე გავრცელებულ ყველა ის ვალდებულება, რომლის შერსრულებაზეც წინამდებარე ხელშეკრულებით და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონით დადგენილი წესით პასუხისმგებელია უფლებამოსილი პირი.

12.13. **შემსრულებელმა ბანკის** წინასწარი წერილობითი ან ელექტრონული თანხმობის გარეშე არ უნდა განახორციელოს **ხელშეკრულების** ფარგლებში დამუშავებული **პერსონალური მონაცემების** გადაცემა (ტრანსფერი) იმ სახელმწიფოში ან/და საერთაშორისო ორგანიზაციაში, რომელიც არ განკუთვნილია ევროკავშირის ეკონომიკურ ზონას და არ არის მითითებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის/მისი უფლებამონაცვლის შესაბამისი ნორმატიული აქტით განსაზღვრულ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების მქონე ქვეყნების ნუსხაში.

12.14. **შემსრულებელსა და ბანკს** შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში **შემსრულებელი** ვალდებულია მოთხოვნისთანავე გადასცეს **ბანკს** მის ხელთ არსებული მონაცემები.

12.15. **ბანკის** მოთხოვნისთანავე, ასევე ამ **ხელშეკრულების** ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტის შემთხვევაში, **შემსრულებელი** ვალდებულია შეწყვიტოს **მონაცემთა** დამუშავება და დაუყოვნებლივ ან არაუგვიანეს 10 (ათი) საბანკო დღისა (თუ აღნიშნული ინფორმაცია მნიშვნელოვანი მოცულობისაა ან/და საჭიროებს მოძიებას/თავმოყრას) უნდა დაუბრუნოს **ბანკს პერსონალური მონაცემების** შემცველი ყველა ინფორმაცია/დოკუმენტაცია (მათ შორის ნებისმიერი ელექტრონული ან მატერიალური ასლი ან/და ამონაწერი, ასეთის არსებობის შემთხვევაში) და აღდგენის შესაძლებლობის გარეშე წაშლის/გაანადგუროს მისთვის გადაცემული/გაზიარებული **პერსონალური მონაცემები** და ამ მონაცემების შემცველი ელექტრონული ან ფიზიკური ფორმით დაცული ინფორმაცია/დოკუმენტაცია. თუ **პერსონალური მონაცემების** შემცველი ინფორმაციის დაბრუნება ფიზიკურად ან/და ტექნიკურად შეუძლებელია **პერსონალური მონაცემების** შემცველი ინფორმაცია უნდა განადგურდეს ან წაიშალოს. **ბანკი** უფლებამოსილია **შემსრულებელს** მოსთხოვოს მონაცემთა წაშლის დადასტურება.

12.16. **ბანკი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მონიტორინგი **პერსონალურ მონაცემთა** შემცველ ინფორმაციაზე **შემსრულებლის** მიერ განხორციელებული მოქმედებების კანონიერების ან/და წინამდებარე **ხელშეკრულების** პირობებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით, რაც მათ შორის გულისხმობს **შემსრულებლისგან ხელშეკრულების** პირობების შესრულების მონიტორინგისთვის აუცილებელი ინფორმაციის/დოკუმენტაციის გამოთხოვას, რომლის მიწოდებაც **შემსრულებელმა** უნდა უზრუნველყოს გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს მოთხოვნიდან 3 (სამი) საბანკო დღისა. **ბანკის** მოთხოვნის საფუძველზე, **შემსრულებელი** ასევე ვალდებულია დააუშვას **ბანკის** წარმომადგენლები იმ სამუშაო ადგილზე, სადაც ხორციელდება **ბანკის** მიერ მიწოდებული/გაზიარებული ან/და **შემსრულებლის** მხრიდან სხვაგვარად ხელმისაწვდომი **პერსონალური მონაცემების** დამუშავება, მიწოდებულ/გაზიარებულ/ხელმისაწვდომ მონაცემთა უსაფრთხოებისთვის გატარებული ღონისძიებების ინსპექტირების მიზნით.

12.17. **ბანკი** უფლებამოსილია **შემსრულებელს** მისცეს მითითებები/შენიშვნები **პერსონალურ მონაცემთა** შემცველი ინფორმაციის დამუშავებასთან/უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებით, რომელიც **შემსრულებელმა** უნდა შესრულოს მითითებების/შენიშვნის მიღებიდან გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 5 (ხუთი) საბანკო დღისა (აღნიშნული ვადა, შესაბამისი საჭიროების გათვალისწინებით და **მხარეთა** შეთანხმებით შესაძლებელია შეიცვალოს).

12.18. **შემსრულებელი** ვალდებულია **ბანკს** აუნაზღაუროს ის ზარალი, რომელიც ამ უკანასკნელს მიადგა **შემსრულებლის** მხრიდან **პერსონალურ მონაცემთა** დამუშავების **ხელშეკრულების** ამ მუხლით ან/და **კანონმდებლობით** გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის შედეგად, მათ შორის, თუ **შემსრულებლის** მხრიდან **ხელშეკრულებით** და **კანონმდებლობით** გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის შედეგად, **ბანკს** შესაბამისი უფლებამოსილი/საზედამხებდევლო ორგანო(ებ)ის, ან/და ნებისმიერი მესამე პირის მხრიდან დაეკისრება რაიმე სახის ფულადი საჩივარი, **შემსრულებელი** ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს **ბანკს** ამგვარი ზიანი (მათ შორის აუნაზღაუროს **ბანკს** ამ უკანასკნელისთვის დაკისრებული ნებისმიერი სახის ფულადი საჩივარი ასეთის არსებობის შემთხვევაში).

12.19. **მხარეები** თანხმდებიან, რომ თუ **მონაცემთა დამუშავების** პროცესში, **მონაცემთა დამუშავების** სპეციფიკიდან გამომდინარე, **მხარეები** წარმოადგენენ მონაცემთა თანადამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირებს, თანადამუშავებისთვის პასუხისმგებელი თითოეული პირი (შემდგომში - თანადამუშავებელი) ვალდებულია:

12.19.1. მიიღოს შესაბამისი ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები **პერსონალური მონაცემების** შემცველი შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისაგან, შეცვლისაგან, გამჟღავნებისაგან, მოპოვებისაგან, დაზიანებისგან, ნებისმიერი სხვა ფორმით

უნებართვო ან უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისაგან დასაცავად;

12.19.2. ინფორმაციაზე წვდომა დაუშვას მხოლოდ იმ თანამშრომლებზე, რომლებიც ასრულებენ **ხელშეკრულებით** გათვალისწინებულ უფლებებსა და მოვალეობებს და რომელთაც განსაზღვრული აქვთ ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება, მათ შორის, სამსახურებრივი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ;

12.19.3. მკიდროდ ითანამშრომლოს თანადამუშავებელთან, რათა უზრუნველყოს **მონაცემთა დამუშავების** შესაბამისობა კანონთან;

12.19.4. **პერსონალური მონაცემები** დაამუშავოს ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში, ამ **ხელშეკრულების** და კანონის მოთხოვნათა დაცვით;

12.19.5. ითანამშრომლოს და კომპეტენციის ფარგლებში მხარდაჭერა გაუწიოს თანადამუშავებელს მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასების განხორციელებაში, სადაც აღნიშნული მოთხოვნება კანონით ან შესაბამისი ნორმატიული აქტით;

12.19.6. დამუშავებულ **პერსონალურ მონაცემებზე** არავტორიზებული წვდომის ან კონფიდენციალურობის სხვაგვარად დარღვევის (ინციდენტის) შესახებ დაუყოვნებლივ ან არაუგვიანეს 24 (ოცდაოთხი) საათისა წერილობით/ელექტრონული ფორმით შეატყობინოს თანადამუშავებელს. შეტყობინება უნდა შეიცავდეს ინფორმაციას ინციდენტის გარემოებების, სახისა და დროის შესახებ; ინციდენტის შედეგად უნებართვოდ გამჟღავნებული, დაზიანებული, წაშლილი, განადგურებული, მოპოვებული, დაკარგული, შეცვლილი მონაცემების სავარაუდო კატეგორიებისა და რაოდენობის, აგრეთვე იმ მონაცემთა სუბიექტების სავარაუდო კატეგორიებისა და რაოდენობის შესახებ, რომლებსაც ინციდენტის შედეგად შეექმნათ საფრთხე, ინციდენტით გამოწვეული სავარაუდო ზიანის, მისი შემცირების ან აღმოფხვრის მიზნით, თანადამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ განხორციელებული ან დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ, ასევე ინფორმაციას იმის შესახებ, გეგმავს თუ არა თანადამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი, ინციდენტის შესახებ შეატყობინოს მონაცემთა სუბიექტს და რა ვადაში;

12.19.7. დაუყოვნებლივ წერილობით/ელექტრონული ფორმით უნდა აცნობოს თანადამუშავებელს წინამდებარე **ხელშეკრულების** ფარგლებში დამუშავებულ **პერსონალურ მონაცემთა** გამჟღავნების მოთხოვნით სასამართლო, სამართალდამცავი, მარეგულირებელი/საზოგადოებრივი ორგანოების და სხვა უწყებებიდან შემოსული მიმართვების თაობაზე;

12.19.8. უშუალოდ მონაცემთა სუბიექტისგან მონაცემთა შეგროვების შემთხვევაში, უზრუნველყოს მისი ინფორმირება **მონაცემთა დამუშავების** მიზნების, საფუძვლების, ვადების, თანადამუშავებისთვის პასუხისმგებელი ან/და უფლებამოსილი პირ(ებ)ის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესახებ და სხვ. ასევე მონაცემთა სუბიექტის კანონით გათვალისწინებული უფლებების (მონაცემთა დაბლოკვა, წაშლა, გასწორება, განახლება და სხვ.) თაობაზე;

12.19.9. უზრუნველყოს თანადამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირებს შორის ვალდებულებების და პასუხისმგებლობის განაწილების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა მონაცემთა სუბიექტისთვის. ამასთან, მონაცემთა სუბიექტს არ უნდა შეეზღუდოს თითოეული თანადამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისთვის ინდივიდუალურად მიმართვის უფლება;

12.19.10. მონაცემთა სუბიექტისგან კანონით გათვალისწინებული მისი უფლებების (მონაცემთა დაბლოკვა, წაშლა, გასწორება, განახლება და სხვ.) რეალიზაციის მიზნით წარმოდგენილი განცხადების/მოთხოვნის/მიმართვის მიღებისას, აღნიშნული მოთხოვნის მიმღებმა თანადამუშავებელმა უნდა განსაზღვროს მოთხოვნის განხილვაზე პასუხისმგებელი თანადამუშავებელი და გონიერულ ვადაში, ისე რომ არ დაირღვეს **კანონმდებლობით** გათვალისწინებული განხილვის ვადები, გადაუზავნოს აღნიშნული მოთხოვნა რეაგირებისათვის. მონაცემთა სუბიექტთან ყველა საჭირო კომუნიკაცია უნდა უზრუნველყოს განცხადების თავდაპირველად მიმღებმა თანადამუშავებელმა;

12.19.11. მოთხოვნის განხილვაზე პასუხისმგებელი თანადამუშავებელი განისაზღვრება შემდეგნაირად: თუ მონაცემთა სუბიექტის მონაცემები არის მონაცემთა ნაკრების/ერთობლიობის ნაწილი, რომელიც შეიძლება მიეკუთვნოს ერთ კონკრეტულ თანადამუშავებელს, მონაცემთა სუბიექტის განცხადების განხილვაზე პასუხისმგებელი იქნება ეს უკანასკნელი. სხვა შემთხვევაში, განცხადების განხილვაზე პასუხისმგებელი იქნება მონაცემთა ის თანადამუშავებელი, ვინც მიიღო მონაცემთა სუბიექტის განცხადება (ვისაც მონაცემთა სუბიექტმა მიმართა);

12.19.12. მონაცემთა თანადამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირები ვალდებული არიან გაუწიონ ერთმანეთს მხარდაჭერა და ხელი შეუწყონ მონაცემთა სუბიექტის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით

გათვალისწინებული უფლებების (მონაცემთა დაბლოკვა, წაშლა, გასწორება, განახლება და სხვ.) რეალიზებას **კანონმდებლობით** დადგენილ ვადებში და წესით;

12.19.13. მონაცემთა თანადამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირები ვალდებული არიან განახორციელონ ყველა სხვა მოქმედება რაც თანადამუშავებაზე პასუხისმგებელი პირებისათვის გათვალისწინებულია **კანონმდებლობით**.

12.20. **პერსონალურ მონაცემთა** თანადამუშავებასთან დაკავშირებული საკითხები, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე **ხელშეკრულებით** წესრიგდება საქართველოს **კანონმდებლობის** შესაბამისად.

12.21. ყოველგვარი ეჭვების გამოსარიგებად, **მხარეები** ადასტურებენ, რომ წინამდებარე მუხლის არც ერთი დებულება არ ზღუდავს **მხარეს** განახორციელოს იმ **პერსონალური მონაცემების** დამუშავება, რომლის დამუშავების საფუძველი, მას, როგორც (დამოუკიდებელ) მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს, აქვს **კანონმდებლობის** მოთხოვნებიდან გამომდინარე ან/და მონაცემთა სუბიექტთან დამოუკიდებლად არსებული შესაბამისი ხელშეკრულების/თანხმობის საფუძველზე.

12.22. **პერსონალურ მონაცემთა** დამუშავების სხვა პირობები რეგულირდება **ბანკის** ვებ-გვერდზე www.libertybank.ge განთავსებული მონაცემთა დაცვის პოლიტიკის <https://libertybank.ge/ka/samartlebrivi-inpormatsia/monatsemta-datsvis-politika> შესაბამისად.

12.23. **პერსონალურ მონაცემთა** შემცველი ინფორმაციის **კონფიდენციალურობასა** და მოპყრობასთან დაკავშირებული საკითხები, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე **ხელშეკრულებით** ან/და **ბანკის** მონაცემთა დაცვის პოლიტიკით, წესრიგდება საქართველოს **კანონმდებლობის** შესაბამისად.

13. რეზოლუციის რეჟიმის დადგომის შემთხვევა

13.1. იმ შემთხვევაში თუ **ხელშეკრულებაზე** ვრცელდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით გათვალისწინებული სარეზოლუციო ინსტრუმენტის მოქმედება და ამავდროულად, აღნიშნული **ხელშეკრულება** სრულად ან ნაწილობრივ ექვემდებარება უცხო ქვეყნის კანონმდებლობას, **მხარეები** წინამდებარე დოკუმენტზე ხელმოწერის გზით წინასწარ თანხმდებიან და ითვალისწინებენ ეროვნული ბანკის უფლებამოსილებას აღნიშნული **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ვალდებულებების მიმართ ეროვნულმა ბანკმა გამოიყენოს **ბანკის** ვალდებულებების ჩამოწერის ან კონვერტაციის სარეზოლუციო ინსტრუმენტი. კერძოდ:

13.1.1. **მხარეები** აცხადებენ და აცხადებენ თანხმობას საქართველოს ეროვნული **ბანკის** უფლებამოსილებაზე, რეზოლუციის რეჟიმში მყოფი **ბანკის** რეკაპიტალიზაციის მიზნით, **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ვალდებულების მიმართ გამოიყენოს კომერციული **ბანკის** ვალდებულებების ჩამოწერის ან კონვერტაციის სარეზოლუციო ინსტრუმენტი საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცებული „რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის რეკაპიტალიზაციის მიზნით კომერციული ბანკის ვალდებულებების ჩამოწერის ან კონვერტაციის წესის“ შესაბამისად;

13.1.2. **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ვალდებულებების მიმართ ვრცელდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სარეზოლუციო ინსტრუმენტი, კომერციული **ბანკის** რეკაპიტალიზაცია მისი ვალდებულებების ჩამოწერით ან კონვერტაციით. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, ხოლო **შემსრულებელი** აღიარებს და აცხადებს თანხმობას საქართველოს ეროვნული ბანკის უფლებამოსილებაზე, დროდადრო მოქმედი კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, **ბანკის** რეზოლუციის რეჟიმის დადგომისას მისი რეკაპიტალიზაციის მიზნით **ბანკის** ვალდებულებები ა) სრულად ან ნაწილობრივ ჩამოწეროს; ან/და ბ) სრულად ან ნაწილობრივ დაკონვერტიროს **ბანკის** ჩვეულებრივ აქციებში ან სხვა ინსტრუმენტებში. შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ სარეზოლუციო რეჟიმთან დაკავშირებული უფლებამოსილების განხორციელების შემთხვევაში **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე **შემსრულებლის** უფლებები **ბანკის** მიმართ შესაძლოა შემცირდეს (სრულად ან ნაწილობრივ), ჩამოწეროს, შეწყდეს, აგრეთვე, **სესხის** თანხა შესაძლოა დაკონვერტირდეს აქციებში ან/და საკუთრების სხვა ინსტრუმენტებში;

13.1.3. **შემსრულებელი** აღიარებს და აცხადებს თანხმობას, რომ მიიღებს ნებისმიერ აქციას/აქციებს ან საკუთრების სხვა ინსტრუმენტ(ებ)ს, რომლებშიც **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული **ბანკის** ვალდებულება დაკონვერტირებული იქნება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ.

14. კონკურენციის შეზღუდვა

14.1. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით შემსრულებელი იღებს ვალდებულებას, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში და მისი ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტიდან 12 (თორმეტი) თვის განმავლობაში ნებისმიერი საფუძვლით ან საფუძვლის გარეშე, ზანკთან შრომით ურთიერთობაში მყოფ ნებისმიერ პირს (დასაქმებულს) არ სთხოვოს, არ დაარწმუნოს, არ გადაიბიროს არ წახაალისოს ან/და ნებისმიერი მიზეზით არ გამოიწვიოს დასაქმებულის მიერ დამსაქმებელთან (ზანკთან) შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა. შემსრულებელი ვალდებულია ამ პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში არ შეთავაზოს ზანკის დასაქმებულებს მასთან ან ნებისმიერ სხვა მესამე პირთან მუშაობა, ან/და პირადი საკონსულტაციო მომსახურების გაწევა. წინააღმდეგ შემთხვევაში ზანკი უფლებამოსილი იქნება მოითხოვოს შემსრულებლისგან მიყენებული ზიანის/ზარალის ანაზღაურება, მათ შორის აღნიშნული ვალდებულების დარღვევისთვის, ზანკი უფლებამოსილია მოსთხოვოს და შესაბამისად, მოთხოვნის შემთხვევაში შემსრულებელი იღებს ვალდებულებას, გადაუხადოს ზანკს ერთჯერადი პირგასამტეხლო მომსახურების ჯამური საფასურის ექვსმაგი ოდენობით და ყოველდღიური პირგასამტეხლო თითოეული დარღვეული ვალდებულების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის ზემოაღნიშნული ჯამური მომსახურების საფასურის მოცულობის 0.5%-ის ოდენობით.

14.2. ყოველგვარი ექვის გამოსარიცხად, წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული სანქციის პირობა არის სპეციალურად მომწესრიგებელი ნორმა და მასზე არ ვრცელდება ხელშეკრულებით ნაკისრი ნებისმიერი ან/და სხვა კონკრეტული ვალდებულების დარღვევისათვის მხარეთა შორის წინასწარ შეთანხმებული პირგასამტეხლო (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

15. პრეტენზიები და დავები

15.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა უნდა გადაწყდეს მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით.
15.2. დავის მოუგვარებლობის შემთხვევაში, მხარეები მიმართავენ სასამართლოს ზანკის ადელსამყოფელის მიხედვით. ამასთან, მხარეები თანხმდებიან, რომ დავასთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ზანკის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება მიქცეული იქნება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

16. ფორს-მაჟორი

16.1. მხარე არ არის პასუხისმგებელი მის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებლობაზე ან/და არაჯეროვან შესრულებაზე, თუ აღნიშნული შესრულებლობა ან/და არაჯეროვანი შესრულება განპირობებულია ფორს-მაჟორული გარემოებების მოქმედების შედეგად.
16.2. მხარე, რომელსაც წარმოევა ფორს-მაჟორი, მიუხედავად იმისა დასრულებულია თუ არა მისი მოქმედება, ვალდებულია: (ა) აღნიშნული გარემოებების დადგომიდან 3 (სამი) საბანკო დღის ვადაში მიაწოდოს მეორე მხარეს ფორს-მაჟორულ გარემოებებთან დაკავშირებული ინფორმაცია, რომელიც უნდა შეიცავდეს ფორს-მაჟორული გარემოებების აღწერას, მისი მოქმედების სავარაუდო ხანგრძლივობას, შეწყვეტის შემთხვევაში შეწყვეტის თარიღს/დროს და (ბ) მიიღოს აუცილებელი ზომები ამ გარემოებებით გამოწვეული/მოსალოდნელი შედეგების (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად ზიანის/ზარალი) შესამცირებლად/აღმოსაფხვრელად.
16.3. შემსრულებლის მიერ ფორს-მაჟორული გარემოებების მიითებებისას მათი არსებობა ან/და არარსებობა უნდა დასტურდებოდეს კანონმდებლობის საფუძველზე უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ცნობით, რომელიც ზანკს უნდა ან/და ვალდებულების შესრულების პირობა განახლდებოდეს ფორს-მაჟორული გარემოებების შესახებ ზანკისათვის ინფორმაციის მიწოდებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.
16.4. ხელშეკრულების 16.2. პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ვალდებულება შესაბამის მხარეზე ვრცელდება ფორს-მაჟორული გარემოებების შეწყვეტის შემთხვევაშიც.
16.5. ფორს-მაჟორის მოქმედების განმავლობაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები და მათი შესრულების ვადები შეჩერდება და გადავადდება ფორს-მაჟორის ხანგრძლივობის შესაბამისად. აღნიშნული ვადების დინება ან/და ვალდებულების შესრულების პირობა განახლდება ფორს-მაჟორული გარემოებების აღმოფხვრისთანავე.
16.6. შემსრულებელი ვალდებულია სრულად და ჯეროვნად შესასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა ვალდებულებები თუ (ა) ფორს-მაჟორის მოქმედება არ ახდენს გავლენას მათ სრულად და ჯეროვნად შესრულებაზე და (ბ) ზანკს აღნიშნული შესრულების მიმართ გააჩნია ინტერესი.
16.7. იმ შემთხვევაში თუ, ფორს-მაჟორის მოქმედებისას: (ა) ფორს-მაჟორის ვადის ხანგრძლივობა აღემატება 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარულ დღეს ან (ბ) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიმართ ზანკს ადარ გააჩნია ინტერესი - ზანკი უფლებამოსილია ცალმხრივად მოითხოვოს ხელშეკრულების სრულად ან/და ნაწილობრივ შეწყვეტა.

17. შესრულების სიმრავლე

17.1. ხელშეკრულების მიზნებისათვის, „შესრულებლი“-ს დეფინიციამო მოცემულ პირებზე ხელშეკრულების პირობები გავრცელდება სრულად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესაბამისი პირის სამართლებრივი სტატუსიდან (ფიზიკური პირი, იურიდიული პირი ან სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნი) გამომდინარე კონკრეტული პირობა ვერ გავრცელდება ამგვარ პირზე.
17.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მხარეს წარმოადგენს ერთზე მეტი შემსრულებელი:
17.2.1. თითოეული ასეთი შემსრულებელი წარმოადგენს ზანკის მიმართ სოლიდარულ მოვალეს ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებებზე;
17.2.2. თითოეული შემსრულებლის სოლიდარული პასუხისმგებლობა ძალაშია მიუხედავად მათ მიერ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების უზრუნველსაყოფად ზანკის სასარგებლოდ რაიმე ფორმით გაცემული დამატებითი ვალდებულების (მათ შორის, დაზღვევის ან/და გარანტიის) არსებობა/არარსებობისა;
17.2.3. ერთ-ერთ შემსრულებელთან დაკავშირებული ფაქტები გამოიყენება სხვა შემსრულებლების მიმართაც, იმის გათვალისწინებით, რომ ზანკის მიერ რომელიმე შემსრულებლის მიმართ თავისი უფლებების გამოუყენებლობა (სრულად ან ნაწილობრივ) არ გავრცელდება სხვა შემსრულებლებზე და არ ათავისუფლებს მათ შესაბამისი ვალდებულებებისაგან;
17.2.4. ერთ-ერთი შემსრულებლის მიერ ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში, ზანკი უფლებამოსილია შესაბამისი მოთხოვნა/მოთხოვნები წაუყენოს ნებისმიერ შემსრულებელს და მის მიმართ ისარგებლოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან/და კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით.
17.2.5. ზანკი უფლებამოსილია თავისი სურვილისამებრ შესრულება მოსთხოვოს ნებისმიერ შემსრულებელს როგორც მთლიანად, ასევე ნაწილობრივ. სოლიდარული ვალდებულება ვრცელდება შემსრულებლის უფლებამონაცვლეობა და სამართალმემკვიდრეებზე მათი წილის შესაბამისად. თუ ერთი შემსრულებლის ვალდებულებას შეასრულებს სხვა ნებისმიერი შემსრულებელი კრედიტორის წინაშე მას უჩნდება რეგრესის უფლება იმ შემსრულებლის მიმართ, ვისი ვალდებულებაც შეასრულა. თუ ერთ-ერთი შემსრულებელი გადახდისუუნარო გახდება, ასეთ შემთხვევაში მის მიერ შესრულებული ვალდებულება თანაბრად ნაწილდება სხვა შემსრულებლებზე.
17.2.6. შემსრულებლის მიერ ხელშეკრულების სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტა დასაშვებია ყველა შემსრულებლის მიერ ზანკისთვის წარდგენილი ერთობლივი მოთხოვნის საფუძველზე.

18. სხვა პირობები

18.1. მხარეები ადასტურებენ, რომ ხელშეკრულების ხელმოწერისას ისინი მოქმედებდნენ გონივრული განსჯის შედეგად, წინასწარ გაეცნენ ხელშეკრულებას, სრულად ესმით ხელშეკრულების პირობების შინაარსი და ისინი სათანადოდ იქნა შესწავლილი მხარეთა მიერ.
18.2. თითოეული მხარე (ა) უფლებამოსილია ისარგებლოს ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლებების (ებ)ით და (ბ) ვალდებულია შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.
18.3. თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული ზანკის მოთხოვნა შემსრულებლის მიერ უნდა შესრულდეს მოთხოვნილი განსაზღვრულ ვადაში, ხოლო ასეთის არ არსებობისას, ზანკის მოთხოვნიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.
18.4. ხელშეკრულების რომელიმე მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის კანონმდებლობის საფუძველზე ბათილად ცნობის/ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში დანარჩენი მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი, ქვეპუნქტ(ებ)ი ინარჩუნებს ექვიდოულ ძალას, ბათილი/ძალადაკარგული მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის, ქვეპუნქტ(ებ)ის ნაცვლად მოქმედებს ის მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი ან/და ქვეპუნქტ(ებ)ი, რომლ(ებ)ითაც ადვილად მიიღწევა ხელშეკრულების მიზანი.
18.5. ხელშეკრულებაში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა დასაშვებია წერილობითი ფორმით მხარეთა მიერ ხელმოწერილი შეთანხმების საფუძველზე. ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილებები ა/და დამატებები წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად.
18.6. ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულებიდან ან/და კანონმდებლობიდან გამომდინარე ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, მეორე მხარის მიერ უფლებების გამოუყენებლობა არ წარმოადგენს მოთხოვნის უფლებაზე უარის თქმის საფუძველს, ამასთან აღნიშნული მხარის მიერ ამგვარი უფლებების გამოუყენებლობა არ წარმოადგენს შემდგომში ხელშეკრულების ან/და კანონმდებლობის დარღვევის შედეგად წარმოშობილ მოთხოვნის უფლებაზე უარის თქმის საფუძველს.
18.7. ნებისმიერი და ყოველი უფლება, რომელიც მიენიჭება მხარეს მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ან/და კანონმდებლობის სრულად ან ნაწილობრივ დარღვევის შედეგად, კრებითა და დაემატება ხელშეკრულებით ან/და კანონმდებლობით მინიჭებულ ყველა სხვა უფლებას.
18.8. შემსრულებელი არ არის უფლებამოსილი ზანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე მესამე პირ(ებს) სრულად ან ნაწილობრივ დაუთმოს ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებები ან/და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. ამასთან, ზანკი მიუხედავად აღნიშნული პირობისა

უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ **მესამე პირებისაგან** მიიღოს **ხელშეკრულებით** განსაზღვრული ვალდებულების შესრულება.

18.9. **ხელშეკრულების** პირობების მოქმედება სრულად ვრცელდება **მხარეებზე**, მათ თანამშრომლებზე, წარმომადგენლებზე, სამართალმემკვიდრეებსა და უფლებამონაცვლებებზე.

18.10. **ხელშეკრულება** რეგულირდება და განიმარტება **კანონმდებლობის** შესაბამისად. იმ შემთხვევებში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული **ხელშეკრულებით მხარეები** იხელმძღვანელებენ **კანონმდებლობით** დადგენილი შესაბამისი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმებით ან/და დამატებით შეთანხმებული პირობებით. ამასთან, **მხარეები** თანხმდებიან, რომ **ხელშეკრულების** შესრულების ადგილად მიიჩნევა **ბანკის** იურიდიული მისამართი.

18.11. **მხარეები** თანხმდებიან, რომ **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე ან/და მასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება **შემსრულებელს**.

18.12. **ხელშეკრულებაში** არსებული მუხლ(ებ)ი/პუნქტ(ებ)ი/ქვეპუნქტ(ებ)ი დანომრილი და დასათაურებულია, ხოლო გამუქებული სიტყვები მოცემულია **ხელშეკრულების** შინაარსის მოხერხებულად აღქმის მიზნით და არ ახდენს გავლენას **ხელშეკრულების** პირობ(ებ)ის ინტერპრეტაციაზე.

18.13. თუ **ხელშეკრულებით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული, **ხელშეკრულების** ხელმოწერამდე **მხარეთა** შორის **ხელშეკრულების** საგანზე არსებული სიტყვიერი ან/და წერილობითი შეთანხმებები ჩაითვლება ძალადაკარგულად.

18.14. **შემსრულებელი** ვალდებულია ხელი მოაწეროს **ხელშეკრულების** ყველა გვერდს.

18.15. **ხელშეკრულება** შედგენილია ქართულ ენაზე. **მხარეთა** შეთანხმებით **ხელშეკრულება** დამატებით შესაძლოა დაიდოს სხვა ენაზეც. ამ შემთხვევაში ქართულ ენაზე შედგენილ **ხელშეკრულებას** უპირატესობა მიენიჭება სხვა ენაზე შედგენილ **ხელშეკრულების** ეგზემპლარებთან მიმართებაში.

18.16. **ხელშეკრულების** თითო თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარი გადაეცათ **მხარეებს**.